

სამართალი და ზღვევა

ტფილისი, 25 ნოემბერი, 1889 წელი

24-ს ნოემბერს ტფილისის სასამართლომ თავისი მსჯავრი დასდო ყოფილს მოწაფეს ტფილისის სახელოსნო სასწავლებლისას ვასილ ივანეს ძეს კაკაბაძეს, ჩამოართვა ყოველივე ღირსება და უნდა გაიგზავნოს კატორგაში ოთხის წლით.

რა თქმა უნდა, რომ ყოველივე დანაშაული კაცისა წინაშე კაცთა და საზოგადოებისა ასე თუ ისე დასჯილ უნდა იქმნას, ესე იგი ყოველივე ბოროტად მოქმედი კაცი უნდა დაყენებულ იქმნას ისე, რომ ვერ შეძლოს ბოროტის ქმნა, თუ მოურჯულებელია, და თუ მოსარჯულებელია — ისე უნდა გარემოცულ იქმნას, რომ მორჯულდეს, გასწორდეს, გაკეთდეს და ისევ პატიოსან კაცად დაუბრუნდეს საზოგადოებას. ჩვენი გულითადი აზრი ის არის, რომ სასჯელი ზღვევა არ იყოს, სამაგიეროს გადახდას არ მოასწავებდეს. ერთიცა და მეორეც, ჩვენი ფიქრით, აუპატიურებს იმ უწმინდესსა და უმაღლეს დანიშნულებას განკითხვისას, რომელსაც ჩვენ მართლიერებას, სამართალს ვეძახით, და ურომლისოდაც კაცთა საზოგადოებას, კაცთა კრებულს ერთს წუთსაც გაძლება არ შეუძლიან. მართლიერება, სამართალი, მთელის ერის განწმენდილი სინდისია, მთელის ერის განწმენდილი ნამუსია, და როგორ უნდა იკადროს ამ საყოველთაო სინდისმა, ამ საყოველთაო ნამუსმა, ჯიბრში ჩაუდგეს უბედურს შემცოდველსა და „კბილი კბილის წილ და თვალი თვალის წილ“ მოსთხოვოს. აქ საჭიროა მორჯულება შემცოდველისა და არა ჯვართაცმა და შანთით გლეჯა ხორცისა, ტანჯვა და წვალება.

ერთი უდიდესი მოვალეობა ადამიანისა მსაჯულობაა. მსაჯული ის რჩეული კაცია, რომელსაც აბარია ჩვენი ქონება, ჩვენი ღირსება, ჩვენი სიცოცხლე, ჩვენი სული და ხორცი, ერთის სიტყვით ჩვენი კაცური კაცობა, ჩვენი ადამიანობა. იგი განხორციელებული ნამუსია და განსახორციელებელი სინდისია მთელის ერისა, ერის უკეთეს კაცთაგან შემდლებისამებრ განწმენდილი და კუთვნილ სიმაღლეზედ დაყენებული. ეს მთელის ერის ნამუსი, მთელის ერის სინდისი მაშინ უფრო იტანჯება, მაშინ უფრო იმღვრება, როცა შემცოდველს უყურებენ როგორც მსხვერპლს ზღვევისას, სამაგიეროს გადახდისას, ვიდრე მაშინ, როცა ცალკე კაცი რაიმე დანაშაულს, რაიმე ცოდვას ჩაიდენს და ამით ასე თუ ისე შეაშფოთებს საზოგადოებას. ეგ სინდისი, ეგ ნამუსი, სიყვარულით, გულისტკივილით გამკითხველია ცოდვილისა და არა რისხვითა და წყრომით მქნეველია გალესილის ხმლისა. იგი სწუხს ცოდვილის დანახვაზედ და არა ჰხარობს-კი, რომ აი მომეცა შემთხვევა ბოროტს ბოროტი მივუწყოვო და ცოდვილი წამებას მივცეო. ამით არის ეგ საყოველთაო სინდისი ტკბილი, ამით არის საყვარელი, ამით არის მომხიბლველი და სატრფიალო.